პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 20 ივნისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 136 (834) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომ3. სტრ.

## კომკავშირელი წითელ არმიაში უნდა იყოს სამაგალითო წითელი არმიელი.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა ნათლად გვიკარნახებს ჩვენ რაც შეიძლება მალლა აკავწიოთ წითელი არმიის საბრძოლო უნარი და სათანადო დონეზე დავაყენოთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმე.

დღე არ გადის ისე, რომ იმპერიალისტებმა მორიგი ახალი ცილისწამება არ გამოიგონონ ჩვენ წინააღმდეგ. ბურჟუაზია მთელი თავისი ძალღონით სცდილობს სიძულვილი და მტრობა ჩაუნერგოს თავისი ქვეყნის მშრომელთა მასებს ჩვენს მიმართ. თუმცა ეს მას არ გაუდის, მაგრამ მისი ცდები მოაწყოს გალაშქრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ნათლად მოწმობს იმას, რომ როდესაც იქნება ის მაინც სისრულეში მოიყვანს თავის მუქარას.

ყოველივე ეს გვაიძულებს ჩვენ უდიდესი ყურადღება მივაქციოთ საბჭოური საქმის ჯეროვნად დაყენებას ჩვენში.

როგორც პარტიამ, ხელისუფლებამ, ისე მთელ მუშურ-გლეხურ მასამშეგნებულად უნდა შეუწყოს ხელი წითელი არმიის რიგების გაძლიერებას და გაალკლდევებას.

ეს ამოცანა სდგას ახალგაზრდა ლენინურ კომუნისტურ კავშირის წინაშეც. კომუნისტური ახალგაზრდობა მუდამ დიდ როლს თამაშობდა წითელი არმიის აღმშენებლობაში, მისი რიგების განტკიცებაში და გაჯანსაღებებში. ეს დიდი მუშაობა მომავალშიც კიდევ უფრო გაორკეცებული უნდა იქნას ამ მიერ.

„თითეული კომკავშირელი, რომელიც შედის წითელ არმიაში, უნდა გახდეს სამაგალითო წითელი არმიელი, დისციპლინიანობის და კულტურული განვითარების წითელი მაგალითი უპარტიო მასებისათვის. აი როგორ განსაზღვრა ამხ. ფრუნზემ კომკავშირელის როლი წითელ არმიაში თავის სიტყვაში კომკავშირის უკანასკნელ კონფერენციაზე.

ეს სიტყვები სავსებით ეხებიან როგორც ძველ წითელ-არმიელ—კომკავშირელს, ისე ტერშეკრებაზე მომავალ ახალგაზრდა ცვალებადელ-ლენინელს.

ამ სიტყვებში სხარტად და მკაფიოდ გამოხატულია კომკავშირელის ვალდებულებანი წითელ არმიაში.

წითელი არმიელი—კომკავშირელი, ან და ცვალებადელი-კომკავშირელი თავისი დისციპლინიანობით, თავისი მუყაითობით სამხედრო სწავლაში თუ პოლიტმეცადინეობაში უნდა იყოს დანარჩენ უპარტიო ამხანაგებისთვის საუკეთესო მაგალითი.

წითელი არმიელი—კომკავშირელი ყოველივე საქმეში, რომელიც მიმართულია წითელი არმიის რიგების განმტკიცებისაკენ უნდა იყოს პირველი. მუყაითობა, შეგნებულობა, რევოლიუციონური სული, გამბედაობა, იშვიათი დისციპლინიანობა და ვეტერანობა—აი რა უნდა ახასიათებდეს მას.

შეასრულებს რა ყოველივე ამას, წითელი არმიელი-კომკავშირელი მით ხელს შეუწყობს წითელი არმიის ძლიერების ზრდას და უძლეველს გახდის მას.

„კომკავშირელი წითელ არმიაში უნდა იყოს სამაგალითო წითელი არმიელი“—აი ამხ. ფრუნზეს დავალება ლენინელებისადმი.

წითელი არმიის ხელმძღვანელის ეს დავალება ერთ წუთს არ უნდა დავიწყონ ჩვენმა წითელ არმიელებმა—კომკავშირელებმა და მტკიცედ უნდა გაატარონ ცხოვრებაში.

## ბულგარეთის რეაქციის თავგაშეხულობას ფრთები უნდა შეეკვეცოს!

ბულგარეთის რეაქცია კვლავ ანგარჰობს თავის საზიზღარ საქმეს. რევოლიუციონერების ოცეა-ელეტას არ უჩანს საზღვარი. ყოველ დღე ბულგარეთის ფაშისტს ხელი ვერაფერულად ასალმებს სიკოცხლეს თეულ კომუნისტებს და ლეგალთა რევოლიუციონერებს. თელი ბულგარეთი გარდაიქცა ამდვილ ჯოჯოხეთად.

გაცოფებული რეაქცია არ ინდობს არა თუ აქტიურ მოღვაწეებს რევოლიუციონური მოძრაობის, არამედ ისეთებსაც, რომლებმაც სრულიად შემთხვევით თავშესაფარი მისცეს დევნილებს. ბულგარეთის მშრომელი ხალხის საუკეთესო ნაწილი ნადგურდება ჯალათის ხელის ქვეშ. ცანკოვის შავი ამალა დასტრიალებს გაწამებულ ბულგარეთს და უმოწყალოდ კორტნის მის სხეულს.

და აი ასეთ მომენტში, როცა იეზუიტება რევოლიუციონერთა მოწინავე თაობა; როცა ხდება მუშათა კლასის ფიზიკური განადგურება, ბულგარეთის სოციალ-დემოკრატია კვერს უცრავს ცანკოვის მთავრობას და ესარჩლება მას. ისე როგორც არაოდეს დღეს ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიამ გამოაშკარავა მთელი თავისი ბინძური გამცემლური ბუნება.

ბულგარეთის ხალხისათვის საბედისწერო წუთებში, სოციალ-დემოკრატია მტკიცედ დადგა რეაქციის რიგებში და მათთან ერთად შეუტია მუშათა კლასს და ლეგეზომას.

ბულგარეთის სოციალ-დემოკრატები ხოტბას ასხამენ მხეც—ცანკოვს და დორბლმორეული ილაშქრებენ კომპარტიის წინააღმდეგ. და არა თუ მარტო ბულგარეთის სოციალ-დემოკრატია თანაგრძნობა ხვდება ცანკოვის სისხლიან მოღვაწეობას, არამედ მთელი მეორე ინტერნაციონალიც, რომელსაც კრინტი არ დაუძრავს რევოლიუციონერების განადგურების წინააღმდეგ.

და ისმება კითხვა!

ცანკოვი ხვრეტს, აწამებს, სოციალ-დემოკრატები მას ზურგს უმაგრებენ, ნუ თუ არ არსებობს ისეთი ძალა რომ ფრთები შეუკვეცოს ბულგარეთის ბურჟუაზიის თავაშეგებულობას.

ასეთი ძალა არის. ეს—მსოფლიო მუშათა კლასი. მან მძლავრად უნდა აღამაღლოს თავისი საპროტესტო ხმა გათავხედებულ ბულგარეთის რეაქციის წინააღმდეგ. თავისი ენერგიული ჩარევით საერთაშორისო პროლეტარიატმა ხელიდან უნდა გააგდებინოს მახვილი ბულგარეთის რევოლიუციონერთა სისხლით დამთვრალ ჯალათს.

ბულგარეთის ბურჟუაზიული მხეცის მადაგახსნილობას დროა ფრთები შეეკვეცოს!

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## საიდუმლო სხდომის ცნობები მაროკოს შესახებ.

საფრანგეთის პარლამენტის კომისიას საიდუმლო სხდომა ჰქონდა მაროკოს შესახებ.

კომისიის წევრებმა ფიცი დასდეს, რომ შეინახავდენ საიდუმლოდ სხდომის გადაწყვეტილებას, მაგრამ მიუხედავად ამისა ზაურვეინმა გამოიქვეყნა „მატენში“ ზოგიერთი ცნობები.

კომისიას გადაწყვეტილი ჰქონია რიფების დამორჩილება ბლოკადის გზით.

პენლევეს უთქვამს, რომ ვინაიდან მაროკოს საკითხი ეროვნულია, მთავრობა რჩება ძალა—უფლების სათავეში, თუ რომ მასთან იქნება პალატის უმრავლესობა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ცალკე ჯგუფი იქნება ოპოზიციაში.

ამრიგად შესაძლებელია სოციალისტებმა უარყონ მთავრობის დახმარების პოლიტიკა, რომელიც მეტად უტეხს მათ სახელს.

## სკანდალი საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში.

**სოციალისტებმა თავი შეიკავეს მთავრობის ნდობის საკითხში.**

რენო ჟან.

კომუნისტ დეპუტატის რენო ჟანის შეკითხვამ პალატის კომისიებში უკანასკნელ ინცინდენტის შესახებ, გაცხარებული კამათი გამოიწვია პალატაში.

რენო ჟანმა განაცხადა, რომ თუმცა მემარცხენე ბლოკის მთავრობა პაციფისტურია და საიდუმლო დიპლომატიის მოწინააღმდეგეს უწოდებს თავის თავს, მაგრამ მაინც სარგებლობს საიდუმლო სხდომებით, რომ არ გააცნოს ქვეყანას საქმის ვითარება და ფაქტის წინაშე დააყენოს ის.

შემდეგ ილაპარაკა „ეშენმა, რომელმაც აღნიშნა მაროკოს ავანტიურის იმპერიალისტური მიზანი, რომელსაც მან უწოდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხის ძარცვა.

## ამხ. ფრუნზეს სიტყვა ლენინურ ახკომკავშირის კონფერენციაზე.

ლენინურ ახკომკავშირის კონფერენციაზე კამათის დროს ილაპარაკა ამხ. ფრუნზემ, რომელმაც განაცხადა:

„დღიდან წითელი არმიის არსებობისა ახკომკავშირთან არსებობს იდეური და ორგანიზაციული კავშირი. კომკავშირმა განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა საზღვაო ფლოტის გაძლიერების საქმეში. თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა გვიკარნახებს, რომ მზად ვიყოთ.

**წითელი არმიაში შესული კომკავშირელი სამაგალითო და მისაბაძი წითელ არმიელი უნდა გახდეს უპარტიო მასებისათვის. კომკავშირის, როგორც ჩვენი საბჭოთა და პარტიული გავლენის მასიურად გამტარებლის როლი, ყოველ წლიურად გაიზრდება.**

სპორტსა და სროლის საქმეს ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. მორიგი ამოცანაა დროიანად მომზადება ჩვენი ქვეყნის ყველა ძალების, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენს გამარჯვებას საჭირო დროს. ამ საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვს მით უმეტეს, როცა ჩვენი არმია ისე მცირე რიცხოვანია“.



## ქალაქ შანხაის (ჩინეთში) გაფიცულთა მეთაურების სიკვდილით დასჯა.

# საბჭოთა კავშირი

## მზადება საშემოდგომო საექსპორტო კამპანიისთვის.

შავი ზღვის სანაპიროებში მიდის მზადება საშემოდგომო საექსპორტო კამპანიისთვის.

გაძლიერებული შუშაობა სწარმოებს ოდესის ნავთსადგურში.

შავი ზღვის ნავთსადგურები მიმდინარე საექსპორტო კამპანიის განმავლობაში შესძლებენ 300 მილიონი ფუთი ხორბლის გაგზავნას.

## ტოკიო--მოსკოვის ექსპედიციის გადაფრენა.

ტოკიო ჩინეთის ექსპედიცია გადმოფრინდება ტოკიოდან მოსკოვში მხოლოდ 25 ივლისს, ამიტომ მოსკოვიდან ჩინეთში გაფრენილ ექსპედიციას ტოკიო—ჩინეთის ექსპედიცია ვერ შეხვდება. ექსპედიციის მარშრუტი: ტოკიო, ოსაკა, ხარბინი, ვლადივოსტოკი, ხაბაროვსკი, ნერჩინსკი, ჩიტა, ვერხნე უდინსკი, ირკუტსკი, კანსკი, კრასნოიარსკი, ნოვონიკოლაევსკი, ომსკი, პეტროპავლოვსკი, კურგანი, კრასნოუფიმსკი, სარაპული, ყაზანი, ნიჟნი ნოვგოროდი, მოსკოვი.

ექსპედიციის მიზნია მეგობრულ კავშირის განმტკიცება იაპონია—საბჭოთა კავშირს შორის.

## ჩრდილოეთ-კავკასიაში კარგი მოსავალი იქნება.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ჩრდილოეთ კავკასიაში პურის მოსავალი საშუალოზე უკეთესი იქნება. პურის ზედმეტი მოსავალი დაახლოებით გამოანგარიშებულია 130 მილიონ ფუთამდე.

## სამუშაო ხელფასის დაკლება რკინის გზებზე

1-ლ ივლისიდან ინგლისის 200.000 რკინის გზის მუშას დაუკლებენ სამუშაო ხელფასს, რაიც დამოკიდებულია პირველ საპირობის საგნებზე ფასების ცვალებადობისაგან.

## უძლიერესი გრიგალი.

ბარნაულის გუბერნიის მთელ რიგ რაიონებში გადაიარა სასტიკმა გრიგალმა.

ჩუმიშსკის რაიონში გრიგალმა დაანგრია და გაიტაცა 50 სახლი და 60 ბეღელი; მოკლულია 12 კაცი, რამოდენიმე დაჭრილია. დაიღუპა ბევრი რქოსანი საქონელი.

სოფელ ნოვოკოპიდოვოში გრიგალმა დანგრია 20 სახლი, მოკლულია 16 კაცი.

---

ორშაბათს, ივნისის 22-ს, საღამოს სრულ 6 საათზე, ტფილისის აღმასკომში მოწვეულია ტფილისის საბჭოს შემდეგი სექციების სხდომა.

1. კომუნალურის წითელი თეატრში (ყოფ. ზუბალაშვილის)

**დღის წესრიგი:**

1) მოხსენება წყალსადენის შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

11. საფინანსოსი (ოთახი № 17)

**დღის წესრიგი:**

1) 1925/26 წწ. ბიუჯეტისათვის საორიენტიო ციფრების დაწესების შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

111. განათლების (ოთახი № 32).

**დღის წესრიგი:**

1) სექციის საბოლოო გეგმის მიღება,
2) სკოლების დამმბარე საბჭოების წესდების გაცნობა,
3) დამბმარე საბჭოების კონფერენციის მოწვევა,
4) ახალი სასკოლო ჯგუფების შესახებ,
5) მიმდინარე საკითხები.

4. ჯანმრთელობის (ოთახი № 57).

**დღის წესრიგი:**

1) სამკურნალო ქვე/სექციის მუშაობის გეგმის განხილვა,
2) სანიტარულიო-ეპიდემიოლოგიურ ქვე/სექციის მუშაობის გეგმის განხილვა,
3) სან-ეპიდემიოლოგიურ ქვე/სექციის დებულება, სან-უჯრედების, რაიონულ სან-საბჭოების, ბიუროების, შრომის, ყოფა-ცხოვრების გამჯანსაღებელ კომისიების და ცენტრალურ სანიტარულ კომისიის მოწყობის შესახებ,
4) მიმდინარე საკითხები.

5. სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის (ოთახი № 66).

**დღის წესრიგი:**

1) მიწათ-მოწყობის შესახებ,
2) აგრო-დახმარების და სამეურნეო იარაღების შესახებ,
3) მიმდინარე საკითხები.

6. სამხედროსი (აღმასკომის დარბაზში).

**დღის წესრიგი:**

1) საბინაო საკითხი,
2) მოხსენება დემობილიზაცია ქმნილ წითელ-არმიელთა დებულების შესახებ,
3) მიმდინარე საკითხები.

სექციებში ჩაწერილ ყველა საბჭოს წევრთა გამოცხადება დანიშნულ დროზე სავალდებულოა. საბჭოს წევრები, რომელნიც არ ჩაწერილნან არც ერთ სექციაში, ვალდებულნი არიან ჩაიწერონ აუცილებლად ამავე დღეს.

ტფილისის საბჭოს სექციების მუშაობის ხელმძღვანელი **არ. რუხაძე.**

## ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ

### ᲩᲕᲔᲜᲘ-ᲞᲐᲠᲢᲘᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ

(მე-6-ხე ლეგიონი)

ივნისის 12-ს საერთო პარტიული დღის აღსანიშნავად შესდგა ლეგიონის ცვალებადი და ძირეული შემადგენლობის პარტაბმანაგების და ახალ წვეულ კომკავშირელთა გაერთიანებული ღია კრება. დაგვესწრო უპარტიოების საკრძნობი ნაწილიც.

კრებამ მოისმინა—სრულიად საკავშირო მე-14—პარტ-კონფერენციის დადგენილებები—პარტალმშენებლობის შესახებ.

მოხსენებით გამოვიდა ამხ. ლორთქიფანიძე, რომელმაც აღნიშნა პარტ-კონფერენციის მუშაობა საერთაშორისო მდგომარეობის მთავარ მომენტებთან დაკავშირებით და დასასრულს ჩვენი სტაბილიზაციის სრული უზრუნველსაყოფად, პარტ-აღმშენებლობის დარგში—პარტიის მიერ შემუშავებული მეთოდებიდან პრაქტიკული ღონისძიებანი; მოხსენება მოსმენილ იქნა დიდის ყურადღებით.

მოხსენების შემდეგ კრება რეზოლიუციის სახით იწონებს პარტიის სწორ პოლიტიკას და რევოლიუციონურს სიტყვას იძლევა გაასკეცებული ენერგიით შეითვისოს და პრაქტიკულად გაატაროს ყველა დადგენილებები ჩვენი სოციალისტური საზოგადოების განმტკიცების მიზნით.

მომდინარე საკითხებში, განსაკუთრებით ცვალებად შემადგენლობიდან შემოვიდა ურთიერთობის ყოფა-ცხოვრების გაუსაცნობათ და მოსაგვარებლად მრავალი პრაქტიკული ხასიათის შეკითხვები, რაიც კრების მიერ სათანადოთ იქნა მოგვარებული.

**ვ. ლორთქიფანიძე.**

## სამართლიანად მოიქცენ.

6 ივნისს შესდგა მეთაურთა გაერთიანებული სამხედრო სკოლის 2-რე კომუჯრედის სხდომა. განსახილველი იყო პარტიაში შესვლის მსურველი ამხანაგების განცხადებები.

კრება საფუძვლიანად შეუდგა განცხადებების განხილვას. მრავალი ხასიათის შეკითხვებმა მოწვეებმა და ბიოგრაფიულმა ცნობებმა ამხანაგები გარკვეულად დააყენა კომუჯრედის წინაშე.

ბევრ ამხანაგებს სრულიად უარი ეთქვათ მიღებაზე, ბევრს წინადადება მიეცა გამოსასწორებლად და ზოგიც მიღებულ იქნენ.

აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ ჩვენთან ბევრს ადვილად წარმოუდგენია პარტიაში მიღების საქმე. განცხადების მეტი არა უნდა რაო. ასე ფიქრობს ბევრი.

6 ივნისის კრებამ 2-რე კომუჯრედში აშკარად დაანახვა ასეთ ამხანაგებს თუ რა ძვირფასია ჩვენთვის პარტია და მისი პრესტიჟი.

სხვას რომ თავი დავანებოთ კურსანტმა უნდა იცოდეს, რომ სათანადო მომზადების გარეშე მათ არავინ მიიღებს პარტიაში. ზნეობრივ მხარეებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

საჭიროა ეს ამხანაგები ცდილობდენ ამ ღირსებათა შეძენაზე და პატიოსან და ენერგიულ მუშაკთათვის ღია იქნება ჩვენი პარტიის კარები ყოველთვის.

**პარტკორი ᲐᲛ. კერესელიძე.**

## სამხედრო საქმე ბანაკში.

ᲫᲘᲔᲑᲐ ᲚᲐᲛᲘᲗ.

თუ რომ ძიება დღისით ძნელ საქმეს წარმოადგენს და მოითხოვს ერთგვარ დახელოვნებას, ღამით ის უფრო ძნელდება.

ღამით ძიების დროს თავი და თავია სიფხიზლის, სიფრთხილისა და კავშირის დაცვა. მცირე გაუფრთხილებლობისა და უყურადღებობას შეუძლია დადუპოს არა მარტო მძიებელი, არამედ ძიებაში გაგზავნილი მთელი ათეული და ოცეული.

ამიტომ მძიებელთა მუშაობის დროს ღამით განსაკუთრებით დაცულ უნდა იქნას ძიების დისციპლინა.

მორბედების საშუალებით დღისით კავშირის დაქერა ძნელია, ღამით—მით უმეტეს.

მორბედი ხშირად დაიბნევა და ვერ მოსძებნის იმ უფროსს, რომელთანაც გაგზავნილია. მხედველობითი კავშირი, განსაკუთრებით ბნელ ღამეებში, შეუძლებელია. ერთად-ერთი კავშირის საშუალება ღამით—ეს არის ხმოვანი ნიშნები. ეს ნიშნები (სიგნალი) ისეთი უნდა იყოს, რომ მტერმა ვერ გაარჩიოს ისინი და ვერ შეამჩნიოს მძიებელთა მოახლოება.

ჩვეულებრივად ხმოვანი ნიშნები უნდა წარმოადგენდენ ღამის ფრინველების ხმების მიბაძვას. მაგრამ აქ საჭიროა კარგად იქნას შერჩეული ეს ნიშნები: არ შეიძლება კატასავით იკნავლო ან მამალივით იყივლო გაწოლილ მინდორზე, ან ლომივით იღრიალო სოფელში.

ხმოვან ნიშნების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3—4-ს. მაგალითად: „ყურადღება“, „სდექ“, „წინ“, „წექ“, და სხვა ამგვარი.

გაიგონებს თუ რა ნიშანს, მძიებელთა ბირთვი წვება და ყურს უგდებს, ხოლო შემდეგ ერთი მომძიებელთაგანი უნდა მიხოხდეს ნიშნის მომცემთან.

მეტად ძნელია ღამით ადგილის გაგება. მძიებელთა მოძრაობა სწარმოებს ადგილობრივ საგნების მიხედვით ან ყიბლანას საშუალებით. მტერთან მიახლოების შემდეგ მძიებელმა პირდაპირ მუცელზე უნდა იხოხონ, რომლის დროსაც უნდა ისარგებლონ ჩაღრმავებულ ადგილებით ან ადგილობრივ საგნების ჩრდილიან მხარეებით.

ადგილობრივ საგნების დათვალიერება—გასინჯვა (სოფლის, ქალის, ხიდის და სხვა) სწარმოებს ისე, როგორც დღისით, მაგრამ რომ არ შეეფეთონ ჩასაფრს, ყველას ერთბაშად შესცლა ამა თუ იმ უბანში არ შეიძლება.

უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლის გასინჯვის დროს მძიებელთა დიდი მტერია ძაღლები. მათ ყეფას ხელად შეუძლია გაამეღვიძოს მძიებლები. ამიტომ წინასწარ, სოფლის დასაზვერავად წასვლისას, თან უნდა წაიღონ ასეულის სამზარეულოდან რამოდენიმე ძვალი.

ღამით ყოველთვის არ ექნება მძიებელს დასმენის დაწერის საშუალება.

აი, ღამით ძიებისათვის რატომაა საჭირო, რომ თვითეულ წითელ არმიელს შეეძლოს სიტყვიერი დასმენის (მოხსენების) გადაცემა ნიშნების საშუალებით.

**Ჯ.**

## სამხედრო ქიმია.

### 2. ქიმიური ცოდნათა შესახებ.

პირველ რიგში განვიხილოთ, მოვა თეორიულად და პრაქტიკულად სავსებით მომზადებული მეომარი, რომელსაც შეეძლება პასუხი გასცეს თავდასხმელ მტერს.

მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი არ არის. მომავალ ომში, როცა ჰაეროპლანების შემწეობით ყოველგვარ მნიშვნელობას ჰკარგავს წინანდელი საზღვრები და „ფრონტები“, ხოლო ბრძოლა შეიძლება დაწყებულ იქნას ქვეყნის ამა თუ იმ ნაწილში, ყოველი მოქალაქე უნდა გადაიქცეს სამხედრო-ქიმიურ საქმის კარგ მცოდნე მეომრად. მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? ყველა მოქალაქეთა გაწვევა ომის დრომდი და მათი სწავლება სამხედრო-ქიმიურ საქმეში შეუძლებელია.

ხოლო იმავე დროს ცხადია რომ ეს ცოდნა ყოველი მოქალაქესათვის საუცალებელია ომის შემთხვევისთვის. აი აქ გამოგვადგება მეომრის ცოდნა.

წითელი არმიიდან სახლში დაბრუნების შემდეგგ მეომარი უზიარებს თავის ცოდნას გლეხებს, ხდება მათი პირველი მასწავლებელი, ხოლო მოულოდნელად დაწყებულ ომის დროს —ხელმძღვანელობს და აწყობს მოგეერიებას სოფლად მტრის თავდასხმისაგან.

**ლ. ᲒᲝᲠᲝᲜᲝᲕᲘ.**

## ტერიტორიალური არმია და მისი მნიშვნელობა.

წითელი არმიის ტერისტეტიზმზე გადასვლა ერთ-ერთი დღევანდელი აუცილებელი ამოცანაა საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეში.

ბურჟუაზიულ ქვეყნების სამხედრო მზადება, სამხედრო ტეხნიკისა და მრეწველობის განვითარება, კაცობრიობის განმანადგურებელ ახალ-ახალ საშუალებათა გამოგონება და გაუმჯობესება, ავიაციისა და ქიმიურ მრეწველობის განვითარება და ის უზომო ხარჯები, რომელსაც ახმარს კაპიტალისტური ქვეყნები სამხედრო საქმის გაძლიერებას—ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ მომავალ იმპერიალისტურ ომის სიდიდე და ხასიათი.

ბურჟუაზიულ ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრება და ურთიერთობა იმდენად იხლართება და რთულდება, რომ უეჭველია, იფეთქებს ომის ცეცხლი და ეს ცეცხლი იქნება გაცილებით ძლიერი, ვინემ 1914-18 წლებში იყო. ცხადია, ის შეიწირავს დიდ მატერიალურ ხარჯებს და ადამიანთა ენერგიას.

ამის გარდა მთელი ქვეყნის ბურჟუაზიას კარგად ესმის, რომ მომავალი ომი და საშინელი ქაოსი მრეწველობაში ითამაშებენ მეანე დედაკაცის როლს სოციალურ საკითხების გადაჭრაში.

ბუნებრივია ბურჟუაზიულ ქვეყნების შიში. ამიტომ ისინი ვერ ბედაობენ იმ არმიებით, რომლებიც მათ ჰყავთ და დამატებით ჰქმნიან დაქირავებულ ფაშისტურ რაზმებს ქვეყნის შიგნით და გარედ რევოლიუციის საშიშროების წინააღმდეგ საბრძოლველად.

პროლეტარიატის დიქტატურის არსებობა დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილზე, ამ დიქტატურის გაძლიერება ერთის მხრივ და მეორეს მხრივ თავიანთ საკუთარი ქვეყნების კლასობრივი განწყობილების გამწვავება, და კოლონიალურ ხალხების ბრძოლის ზრდა,—აყენებს ბურჟუაზიის წინაშე ბრძოლის ახალ ამოცანებს რევოლიუციონურ მოძრაობას წინააღმდეგ და თავის ბატონობის დასაცავად.

ბურჟუაზიას არ შეუძლია დამშვიდებული იყოს, როცა მან იცის საბჭოთა კავშირის არსებობა, რომელმაც პირველმა აჩვენა ქვეყანას ბრძოლისა და გამარჯვების მაგალითი. ამიტომაა, რომ ყოველ გზჯვარედინზე გაჰკიენან წითელი საფრთხისა და წითელი არმიის მილიტარიზმის შესახებ.

საბჭოთა კავშირი ანგარიშს უწევს ყოველივე ამას, ვინაიდან იცის, რომ სანამ არსებობს ბურჟუაზია, იარსებებს ომიც, განსაკუთრებით, მთელს ქვეყანაზე არსებულ ერთად-ერთ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირს სხვისი არ უნდა და ომსაც არ ასტეხს, თუ რომ არ აიძულებენ მას დაიცვას იარაღით მუშურ-გლეხური ქვეყანა. საბჭოთა კავშირმა არა ერთხელ დაამტკიცა თავისი მშვიდობიანი პოლიტიკა სხვადასხვა კონფერენციებზე, რომლებზედაც ის მოითხოვდა განიარაღებას ანუ არმიების შემცირებას მინიმუმამდი.

მაგრამ ბურჟუაზიამ არამც თუ არ ინება განიარაღება, პირიქით ათეულ მილიონობით გადასდო სამხედრო საქმისთვის.

ბოლოს წითელი იმპერიალიზმის უსაფუძვლობის შესახებ ყველაზე ნათლად ლაპარაკობს ჩვენი არმის შემცირება 5.300 ათასი კაციდან 560.000 დე; ეს მაშინ, როცა ბურჟუაზია უფრო და უფრო ემზადება და აძლიერებს თავის არმიას. ყოველივე ამის შემდეგ ბურჟუაზიას კიდევ შერჩენია იმდენი თავხედობა, რომ გაიძახის წითელი იმპერიალიზმის საფრთხისა და წითელი არმიის საშიშროების შესახებ.

(გაგრძელება იქნება).

**ᲗᲘᲠᲐᲜᲐ ᲡᲘᲠᲐᲮᲣᲚᲐᲫᲔ.**

# ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲔᲚᲜᲘ ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲛᲝᲓᲘᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲨᲘ.

## ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲐᲛᲓᲔ.

(მე-6-სე ლეგიონის მე-3-მე ასეული).

ᲚᲔ. №-ში მდგომი მე-6-ე ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ მე-3-მე ᲐᲡᲔᲣᲚᲘ უფ-პოლიტ. შემდგენ-ᲚᲘᲡ და ძირითადი წით. მოᲛᲬᲠᲔᲜᲘ გაფაცაცებით ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ 1902 წელში დაბადეᲚᲘ ახალწვეულ ცვალებადᲔᲑᲘᲡ შესახვედრათ. მთელი ᲛᲔᲚᲘᲡ ფეხზე სდგას, ყველას ᲗᲐᲕᲘᲡ საქმე აქვს მიჩნეული. ᲚᲘ თავიანთ მოძმე ახალწვეᲣᲚᲔᲑᲗᲐᲜ ერთად დაიძრებიან ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲙᲔᲜᲔᲚᲘᲡᲙᲐᲜᲔᲚᲘ, რაც ზოგიერთᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲘᲗᲝᲥᲛᲘᲗ აღონებს კიᲓᲔ, რომ უხდებათ ‘ბუნებითᲐᲓ დაჯილდოებულ დუშეᲗᲘ მიდამოს დატოვება.

—კარგი იყო ამ ზაფხულში ᲓᲐᲕᲓᲒᲠᲘᲚᲘᲧᲐᲕᲘᲗᲝᲗ—გაიᲗᲐᲕᲐ იქ.

ᲗᲐᲨᲣᲐᲓᲓᲔᲕᲘᲡ ᲮᲣᲗᲘ საათი ᲐᲠᲘᲡᲣᲚᲘ.

ᲛᲐᲮᲚᲝᲛᲔᲚᲘ რაიონებიდან უᲙᲐᲜ მოვიდნენ ახალწვეულები; ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲚᲐ, ᲥᲝᲩᲘᲠᲐ ᲑᲘᲭᲔᲑᲘᲐ ᲛᲔᲡᲝᲛ ჩვენი ასეული და ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲪ გამოცოცხლდა, ახმაᲣᲚᲘ. ასეულის ბიბგამგე დაᲣᲒᲐ მათ გაზეთი „წითელი ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ“,

—მე არ ვიცი ამხანაგო კიᲗᲐᲜ, მაგრამ მაინც მომეცეᲛᲔᲜᲔᲑᲐ ერთი ახალწვეული, ᲠᲐᲛᲔᲚᲘᲪ ანანურის რაიონᲘᲡ არის.

—არ იცი და წითელ ჯარში გასწავლიან ამხანაგო—უპასუᲮᲔᲑᲘᲡ ძველი წითელ არმიელი—თუ მოინდომებ აქ ბევრ რამეს შეიძენ, სახლში განვითარებუᲚᲘ დაბრუნდები.

—მაგ დიდ ქოჩორს კი და გაღეურჭნიან ძირში, როცა ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ჩავალთ—გაიხუმრა ახᲐᲚᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲮᲘᲡᲤᲔᲠᲘᲜᲘᲚᲘ, რომᲔᲚᲘᲪ ერთად ერთი განსხვავდება სხვა ახალწვეულებიდან იმითი, რომ თმა სულმთლად გადადებული აქვს.

—გამკრიჭონ რა. შენ გგონია ძალიანს ვიშუᲮᲔᲑ? თუ სუᲠᲕᲘᲚᲘ მეᲜᲔᲑᲐ, ისეც გავიზრდი, სახლში დაბრუნებისას—უპასუᲮᲔᲑᲘᲡ პირველი, რომელსაც ᲮᲨᲘᲠᲘ და ᲮᲣᲭᲣᲭᲘ თმა თვალებზე ჩამოფარებია და გამოხედვას ᲨᲣᲚᲘᲡ.

—აბა ამხანაგებო ნუ მოგიᲬᲧᲔᲜᲐᲗ ᲪᲔᲪᲮᲐ, სიმღერა, მხიᲐᲠᲣᲚᲘᲗᲐ, ახალგაზრდას მოᲬᲧᲔᲜᲐ არ შვენის.

ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ ახალწვეულებს ერთი ძირითადი წითელი არმიელი.

—ბიᲭᲔᲑᲛ ვისწავლოთ, ვისწავლოთ და თვალები დაᲒᲜᲔᲚᲝᲚᲘ მუშების მტრებს.

—ᲰᲐᲘ დედასა, დუშეთის აჯანყებაზე, რომ თოფების მოᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ ᲒᲕᲘᲛᲝᲓᲔᲗᲝ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲫᲔᲚᲘ არ დაᲰᲪᲣᲤᲐᲕᲓᲔ. ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲐᲛᲓᲔᲜ.

—შენ ამხანაგო პარტიული ᲮᲐᲠ?

შეეკითხა მას ერთი წ. მოᲚᲐᲨᲕᲠᲘ.

—არა, უპარტიო ვარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თეორიის და შავის გარჩევა არ შემეძლოს. პარტიის მანდატი არა მაქვს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დაცვაში სხვას არ ჩამოუვარდები.

უპასუხებს თავმომწონეთ ის.

საუბრის შემდეგ გაიმართა ᲪᲔᲪᲮᲐ-თამაშე; ახალწვეულები სათითაოდ გადმოდიოდენ და ᲕᲣᲪᲕᲘᲓᲜᲔᲜ წრეს. ყველა მხიᲐᲠᲣᲚᲘᲐ, არც ერთ მთგანს არ ᲔᲢᲧᲣᲝᲜᲝᲓᲐ მოწყენილობა.

დაღამდა. მისწყდა ადამიანის ᲮᲛᲐᲣᲠᲝᲜᲐ. ვარსკვლავებით მოᲭᲔᲓᲘᲚᲘ უმთვაროᲪᲐ მილიონი თვალებით დაჰᲧᲣᲠᲔᲑᲓᲐ დუშეთის სილამაზე წითელ ყაზარმებს, რომელშიდაც ᲪᲔᲪᲮᲐ-თამაშით მოღლილი ჩვენი ახალწვეულები ტკბილ ძილს მისᲪᲔᲛᲝᲓᲐᲜ, მხოლოთ ასეულის დღიურის ფრთხილი თვალები ზვერავდა ყაზარმის მიდამოებს და მოუთმენლად მოელოდა ალიონის მოახლოვებას.

ნ. ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ.

## ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲢᲔᲠᲘᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲖᲔ.

6-ᲮᲔ ᲚᲔᲒ. 6-ᲡᲔ ᲐᲡᲔᲣᲚᲘ.

12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲡᲔᲣᲚᲘᲡ შესდგა ნაწილის გაᲘᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ კრება კომუᲯᲠᲔᲓᲘᲡ ერთად, რომელსაც უნდა ᲛᲘᲡᲐᲛᲘᲜᲐ მოახსენება ტერისᲚᲘᲡᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ და ცვალებადთა შეᲮᲔᲓᲠᲘᲡ წესის შესახებ. მოხსᲔᲜᲔᲑᲐ გააკეთა ასეულის პოლᲘᲢᲔᲚᲛᲐ. ამხანაგი ძალიან ᲛᲘᲪᲔᲚᲐᲓ შეეხო ტერისტემას, ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ მნიშვნელობას ჩვენი მეუᲠᲔᲝᲑᲐᲡᲐ და მოსახლეობის საᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ მომზადების საქმეში. ᲛᲘᲡᲚᲝᲡ აღნიშნა ცვალებადთა ᲛᲝᲬᲛᲔᲕᲘᲡ დროს მოახლოებები და როგორ უნდა შეეხვედეთ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲘᲗ.

„ᲧᲕᲔᲚᲐᲛ როგორც ერთი, ᲛᲝᲠᲔᲠᲘᲡ დაუზოგავად უნდა ᲛᲘᲪᲔᲛᲝᲗ ამ საქმეში, განუმარᲗᲝᲗ და შევგვნებიოთ ტერᲘᲡᲢᲔᲠᲘᲡᲢᲔᲛᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲚᲝᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ.“

## ᲓᲐᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ ᲙᲚᲣᲑᲨᲘ.

5-ᲝᲗᲔ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ.

მეᲮᲣᲗᲔ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ მეორე ათასეულის წითელ არმიელები დღემდე ძალიერ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲗ საკლუბო მუშაობას. თითონ ჩვენს ათასეულს არა აქვს კლუბი, მხოლოთ სამᲥᲐᲚᲐᲥᲝᲨᲘ კი უბილეთოთ არ გვიშვებდენ.

პირველ ივნისიდან უკვე მოგვცეს ადგილობრივ სამᲥᲐᲚᲐᲥᲝ კლუᲑᲨᲘ უფასოდ შესᲕᲚᲘᲡ უფლება, რამაც წითელ არმიელებში უსაზღვრო სიხᲐᲠᲣᲚᲘ გამოიწვია.

დიდ მადლობას უძღვნით ამხ. კობოსნიძეს, რომელმაც დიდი შრომა დახარჯა, რომ ჩვენთვის კლუბში შესვლის უფლება მოეპოვებია და რომელიც ერთ წუთს არ ივიწყებს წითელ არმიელების კულტუᲠᲣᲚᲐᲓ და პოლიტიკურად გათვითცნობიერების საქმეს.

წ. არმიელი ᲪᲘᲪᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

## ᲘᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲒᲐᲕᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲗ.

4-ᲮᲔ ᲚᲔᲒ. 2-ᲠᲔ ᲐᲗᲐᲡᲔᲣᲚᲘ.

12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ შესდგა ათასეულᲘᲡ შემადგენლობის კრება, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ მიზანი იყო საᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲝ ᲛᲐᲒᲘᲡ და წესრიგის გამომუშᲐᲒᲔᲑᲐ ცვალებადთა შეხვედრისᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲒᲐᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ იყო ორი უმთავᲠᲘᲡ საკითხი. 1) ჩვენი შეᲮᲕᲔᲓᲠᲐ ახალწვეულებისადმი და 2) დისციპლინის განმტკიცება.

პირველი საკითხის გარშემო ᲛᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ შემდეგ კრებამ აიᲠᲩᲘᲐ შემხვედრი კომისია, რომᲔᲚᲡᲐᲪ დაავალა მიეღოთ შემᲓᲔᲒᲘ პრაქტიკული ღონის ძიᲑᲐᲜᲐ: მოეწყოთ შესაფერი ინᲡᲢᲠᲣᲥᲢᲘᲠᲝᲕᲐ, გამოეშვათ რედᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐᲡᲗᲐᲜ შეთანხმებით სპᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ კედლის გაზეთი, დაემზადებინათ შინაარსიანი ლᲝᲖᲣᲜᲒᲔᲑᲘ და სხვა მრავალი.

ახალწვეულებში დისციპლᲘᲜᲘᲡ განმტკიცების შესახებ მოᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ გააკეთა ათასეულის თავმა, რომელმაც გააცნო კრებას თუ როგორი სახე უნდა მიიღოს დისციპლინამ. კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუᲪᲘᲐ, სადაც ფიცს იძლევა რომ უდიდესი ყურადღებით მოეპყრას წითელი ჯარის ძლევამოსილების ძალას—დისციპლინას.

იმედია, მეორე ათასეულის შემადგენლობა პირნათლად შეასრულებს იმ დავალებებს, რომᲔᲚᲘᲪ დააკისრა მას მეორე ᲥᲐᲠᲗ. დივიზიამ. ამის შესაძლებლობა მას აქვს თავისი გამᲪᲓᲘᲚᲘ მეთაურების გამო.

სამხკორი გ. ᲯᲝᲯᲣᲐ.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲑᲐᲜᲐᲙᲨᲘ

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲚᲚᲣᲛᲔᲑᲘ.

1 ᲚᲔ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ მე-2-ე ათᲐᲡᲔᲣᲚᲘ 15 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡᲐᲜ გავიდა მანევრებზე.

მანევრებზე გავიდენ ფეᲮᲝᲛᲜᲘᲡᲐᲜ და საარტილერიო ნაწᲘᲚᲔᲑᲘ.

ფეᲮᲝᲛᲜᲘᲡᲐᲜ ჯარი იყო ქართᲕᲔᲚᲔᲑᲘ 1-ᲚᲔ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ მეᲝᲠᲔ ათასეულიდან, საარტილᲔᲠᲘᲝ ნაწილის კი სომხები. ᲩᲕᲔᲜᲡ გამგზავრების დროს უეᲪᲔᲠᲘᲕ შემოგვიერთდა სომხების უფᲠᲝᲚᲘᲢᲨᲘᲛᲓᲔᲒᲘᲡᲚᲝᲑᲐ და წითელ-არმიელები, მოგვესალᲛᲔᲜ ამხანაგური სალამით და გაუდექით ჩვენ გზას.

მივიღეთ სათანადო ამოცანა, რის შემდეგაც დავიწყეთ თავდამცველ რაზმების წინ გზᲐᲕᲜᲐ, რომლის მოვალეობა იყო ჩვენი დიდი ნაწილები მტრისგან ყოფილიყო უზრუნველყოᲤᲘᲚᲘ სალაშქრო მოძრაობაში.

ამ ადგილზე ნაწილებმა დაიᲬᲧᲔᲡ განსაზღვრული წესდებით მოქმედება, უკანასკნელი გამგᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲝᲚᲐᲛᲓᲔ. აქ კი შეᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲗ და გავამგრეთ ნაჩᲕᲔᲜᲘᲡ ადგილი.

გამგრება მოხდა დამით საᲐᲗᲘᲡ 10-ᲖᲔ. წითელ-არმიელᲔᲑᲘᲡ ჩასაფრული იყვნენ თავთᲐᲕᲘᲐᲜ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲨᲘ. მზვერავებიც ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲐᲜᲐᲓ ასრულებდენ თავᲗᲐᲕᲘᲐᲜ მოვალეობას. მთელი დამის სიᲤᲣᲜᲐᲠᲨᲘ ყოველივეს გულმოდგინეთ და დაუზᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ სრულდება. უკვე ახლოვდება დილა.

პირველი ᲪᲔᲪᲮᲚᲘ გამთენᲔᲑᲘᲡᲐᲡ გააᲰᲘᲜᲐ ᲑᲐᲢᲐᲠᲔᲯᲘᲐᲛ. ᲩᲕᲔᲜ გავამგრეთ ᲩᲕᲔᲜ-ᲩᲕᲔᲜᲘ ადგილები. წინ წაწევას ადგილი არ ᲥᲝᲜᲘᲐ, რადგან მოᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲜ არ იყო ამოცანა შეᲗᲕᲘᲗᲔᲑᲐᲖᲔ გადასვლის.

ამის შემდეგ ფეᲮᲝᲛᲜᲘᲡᲔᲑᲛᲐ გააᲰᲘᲜᲔᲡ პირველი ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲫᲚᲘᲐᲠᲘ და მსუბუᲥ ტყვიამფრქვევებᲘᲓᲐᲜ. ᲒᲐᲜᲘᲡᲜᲐ შაᲮᲜᲐᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲪ. ყველა ამ იარაღებიდან ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲰᲘᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲐᲜ მოწინააᲠᲓᲔᲒᲔᲑᲘ მიაყენა დაკვრითი ᲖᲘᲐᲜᲘ და ის ამით უკუᲪᲔᲡᲣᲚᲘ იქნა. მათ სანგრებზე გავამგრᲔᲓᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ, რის შემდეგ ვაᲬᲐᲠᲛᲝᲔᲗ თავდაცვითი ბრძოლა.

უნდა აღინიშნოს, რომ საᲔᲠᲗᲝ ბრძოლაში, მოგერიებაში და სხვა ჩვენი ნაწილის წითელ-არმიელები დიდ აქტიᲝᲜᲝᲑᲐᲡ და სიმარდეს იჩენდენ.

ვაშა ჩვენს აღლუმებს და საᲥᲛᲘᲡ სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობას.

სამხკორი Ს. ᲘᲛᲜᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

## ᲔᲡ ᲓᲐᲣᲛᲕᲔᲑᲔᲚᲘᲐ.

(პირველი ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ უᲤᲔᲥᲘᲡᲛᲘᲡ საᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲝᲗ.)

რამოდენიმე დღის წინად ᲩᲕᲔᲜᲘ 1-ᲚᲘ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ მეორე ათასეული გაემგზავრა საᲐᲦᲚᲣᲛᲝᲗ, რომლის დროს ერთი სᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ საკითხი დატოვებულ იქნა უᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲝᲗ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ექიმის მიერ.

ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ გამგზავრების დროს, ᲩᲕᲔᲜᲡ ათასეულს არ ახლდა არც ერთი ფერᲬᲐᲚᲘ, სათანადო მოᲬᲧᲝᲛᲘᲚᲝᲛᲝᲗ. გზაზედ უეᲪᲔᲠᲘᲕ ავათ გახდენ წით.-არმიელები და წამლის მიმᲪᲔᲛი არავინ იყო. ასეთი გულგრილობა საქმისადმი ყოველად დაუშვებელია.

მხოლოთ მეორე დღეს მოვიდა ფერᲬᲐᲚᲘ. უკეთესი იყო სულ არ მოსულიყო, რადგან მას არაფერი ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲮᲘᲜᲘᲡᲐ და იოდის გარდა.

წამლებს, რომ თავი დავᲐᲜᲔᲑᲝᲗᲝ, მას „დვუბკოლკა“ სრულᲚᲔᲑᲘᲗ არც კი გახსენებია.

გზაზედ რამოდენიმე წითელ არმიელი ავათ გახდა და საᲞᲘᲠᲝ შეიქნა მათი თბილისში გაგზავნა, მაგრამ რით ან რაᲛᲝᲒᲝᲠ. 25 ᲕᲔᲠᲡᲘᲡ მანძილზე ავათᲛᲧᲝᲤᲘᲡ ზურგით გადატანა შეუძლებელია. ბანაკში კი ასეᲗᲔᲑᲘᲡ დატოვებაც შეუძლებელი შეიქნა.

იმედია, მომავალში ასეთ შეᲪᲓᲝᲛᲔᲑს აღარ ექნება ადგილი და აღლუმებზე მყოფ წითელ-არმიელებს მიეᲪᲔᲕᲐ დიდი ყურადღება ჩვენი ექიმის მიერ.

სამხკორი ᲢᲝᲠᲝᲚᲐ.

## ᲛᲝᲒᲖᲕᲔᲪᲘᲗ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ.

მეᲡᲐᲛᲔ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ

8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ მეთაურთა სკოლᲐᲨᲘ სამხედრო ქიმიაზე მოხსენᲔᲑᲐ გააკეთა ამხ. რაფავამ, რომᲔᲚᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ მეთაურებიც დაესწრენ. მოხსᲔᲜᲔᲑᲐ ფრიად შინაარსიანი იყო და სხვათა შორის ამხ. ᲮᲐᲮᲐ გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქიმიის შესწავლის საქმე ცუდათ არის დაყენებული ᲩᲕᲔᲜᲡ ნაწილებᲨᲘ.

— ᲩᲕᲔᲜ „წითელ-არმიელᲔᲑᲘᲐ“—განაცხადა მომხსᲔᲜᲔᲚᲛᲐ—თვალ ახვეული შლიან ტყᲕᲘᲐᲛᲤᲠᲥᲕᲔᲕᲔᲑᲡ და თოფებს, მაგრამ ᲰᲐᲠᲘ საწინააღმდეგოს მოᲮᲛᲐᲠᲐ სრულიად არ იᲪᲘᲜᲐ.

ეს სრულიად მართალია. ყოᲕᲔᲚ შემთხვევაში მართალია ეს ᲩᲕᲔᲜᲘ მესამე ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ სამᲜᲔᲝ ᲒᲣᲜᲓᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ასეული დილიდან საღამომდე მუშაობს და წარᲑᲘ შეუხარულათ ასრულებს ყᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ დავალებებს, იმ დროᲡᲐᲪ კი როდესაც დანარჩენი გუნდები მეცადინეობის შემდეგ დასვენებული არიან.

ეს მუშაობა ასეული სამხედრო ვარჯიშობაშიც არ უვარდება დანარჩენ ამხანაგებს და ბევრ შემთხვევაში ᲮᲯᲝᲑᲜᲘᲡ სხვებს.

საჩქარო სამუშაოს გამო დილას არ სკალიათ და ამიტომ სასკოლო მეცადინეობა გუნდში საღამოობით სწარᲛᲝᲒᲝᲡ.

მიუხედავათ იმისა, რომ ამხ. მუშაობით დაღლილ დაქანცულია, მაინც მხიარულათ შემოᲧᲣᲡᲮᲓᲔᲑᲘᲐᲜ მაგიდებს, გულდასმით ისმენენ გაკვეთილებს, სწრაფათ იმახსოვრებენ, და ცდილობენ რაც შეიძლება მეᲢᲘ შეიძინონ და მეტი წაიღონ ყაზარმებიდან თავიანთ სახლეᲑᲨᲘ.

მოსვლისას უცოდინარი, გაᲣᲬᲤᲠᲗᲔᲚᲘ არმიელი, ეხლა თავისუფლათ სწერს წერილს, მშვენივრათ გადადაქვს ქაღალდზე თავის გულის ნადები და ალტაცებულია თავისივე ბეᲯᲘᲗᲝᲗᲝᲑᲘᲡ შედეგით.

აქ ყველაფერს ასწრებენ და ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ სამაგალითოთ ასრულებენ.

გამოელაპარაკები დაუზარებელ არმიელს და გიპასუხებს საბჭოთა ხელისუფლებამ—მომცა ყველ აფერი და ვის უნდა ვემსახურო ერთგულათ თუ არა მასო.

სიამოვნებით გელიმება წითელი მოლაშქრის ასეთ გარᲙᲕᲔᲣᲚ, აზრიან პასუხზე და გულში მადლობას ეუბნები მათ აღმზრდელს.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ეს, რასაკვირველია, გუნდის მეთაურის ამხ. ᲯᲝᲠᲯᲐᲫის მეოხებითაა შექმᲜᲘᲚი.

ძვირათ მოინახება მეორე ასეთი ენერგიული, პატიოსანი, მეთაური როგორც ეს ამხᲐᲜᲐᲒი.

ერთი რამ მინდა აღვნიშნო, რომელიც დაუმსახურებლად ᲩᲘᲠᲥᲚ სცხებს ᲩᲕᲔᲜᲡ გუნდს.

გაზ. „წითელ არმიელის“ 13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ნომერში ამხ. „ᲯᲝᲜᲗᲔᲚᲘ“ სწერს თითქოს სამᲜᲔᲝ გუნდის წითელ არმიელᲔᲑᲘ იგინებიან, ილანძღებიან და საᲭᲘᲠᲝᲗᲐ ნაწილის მესვეურმა ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ მიაᲪᲘᲝᲡᲝᲡ.

მართალია იყო ასეთი შემᲗᲮᲕᲔᲕᲐ აქ, მაგრამ ეს უდისᲪᲘ�პᲚᲘᲜᲝ ამხანაგი შტაბში მოᲛᲣᲨᲐᲕᲘ იყო და არა ამხ. ᲯᲝᲠᲯᲐძის გუნდში მყოფი. შტაბᲨᲘ მომუშავენი სამᲜᲔᲝ ასეᲣᲚᲨᲘ არიან ბინათ და ალბათ იმიტომ აერია ამხ. სამხკორს.

სამᲜᲔᲝ გუნდის გამრᲯᲔ და ზრდილ წითელ მოლაშქᲠᲔᲑᲨᲘ ასეთ შემთხვევას არას დროს არ ᲥᲝᲜᲐ ადგილი და დარწმუნებული ვართ არც შემდეგში ექნება.

ნ. ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ.

## მეტი უურადღება კოოპერატივს.

მე-6-ხე ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონს აქვს თავის საკუთარი კოოპერატივი, რომელიც ლეგიონის უფროლიტშემადგენლობას დაკლებულ ფასებში ჯამაგირის მიღებამდე აწვდის საჭირო საქონელს.

მხოლოდ ერთ დაუდევრობას აქვს ადგილი კოოპერატივის საქმიანობაში და ისიც სამნეო ნაწილის უყურადღებობით, რომელიც საგრძნობლათ აფერხებს როგორც ჩვენი ლეგიონის შემადგენლობის, ისე საერთოდ თვით კოოპერატივის საქმეს.

კოოპერატივიდან უფ-პოლიტშემადგენლობაზე გასაცემ სანსისო თანხის რაოდენობას ანაწილებს სამნეო ნაწილის უფროსი, ჯამაგირის დარიგების შემდეგ განაწილებულ სიას უგზავნის კოოპერატივის გამგეს, სადაც აღნიშნულია თვითეული უფ-პოლიტშემადგენლობის წევრი და მასზედ გასაცემი სანსისო თანხის რაოდენობა; ამით კოოპერატივის გამგეს ეძლევა საშუალება გაიგოს თუ ვის რამდენის საფასური საქონელი ერგება ნასიათ. სპეციალ მიზეზების გამო სათანადო ნებართვით ხდება ხოლმე ზოგიერთზე განსაზღვრული თანხის საქონლის ნისიათ მიცემის გადამეტებაც ისიც გამონაკლის შემთხვევაში. ჯამაგირის დარიგების დროს კოოპერატივის გამგეს არ ეძლევა საშუალება მიიღოს თავისი კუთვნილი ფული საფასებით—ზოგჯერ ნახევრადაც კი—რატომ? იმიტომ—რომ უფროლიტშემადგენლობას აღმოაჩნდება კიდევ სხვა დასაფარავი ვალები და სამნეო ნაწილის უფროსის განკარგულებით კი პირველს რიგში ამ ვალების განაღდება ხდება ხოლო კოოპერატორის მიერ წარმოდგენილი თანხის რაოდენობის განახევრება და გამესამდება.

ეს ძალზე აფერხებს როგორც კოოპერაციის დანიშნულებას, ისე თვით უფ-პოლიტშემადგენლობის საქმეს—მით უმეტეს რომ ძველი დარჩენილი ვალებს ემატება მომავალი თვის ახალი ვალები და თვითეული წევრი იტვირთება ვალებით.

საჭირო არის სამნეო ნაწილის უფროსმა მიიღოს მხედველობაში სიის განაწილების დროს თვითეული უფ-პოლიტშემადგენლობის ვინაობა, თუ ვის რამდენი აქვს კერძო ვალები და კოოპერატივიდან სანსიათ თანხის განსაზღვრა და განაწილება მის შეფარდებით მოხდეს. ამას გარდა კოოპერატივის ვალები პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილდეს.

ამ უკანასკნელ ხანებში გამორკვეული იქნა კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა. ყოფილა შემთხვევა მოსამსახურეების ერთი ნაწილიდან მეორე ნაწილში გადაყვანა და აგრეთვე ზოგის სხვა და სხვა მიზეზებისა გამო უვადო შვებულებაში დათხოვნა, რომელთაც თან წაყოლით კოოპერატივის გაუნაღდებელი ნისია.

რასაკვირველია სამნეო ნაწილის უფროს არ ქონია ამ დროს ხელმეველობაზე კოოპერატივი, თუ ვის და რა თანხის ვალი გაყავ და მიეღო სათანადო ზომები თავის დროზედ.

ეს ძალზე ამრკოლებს დანარჩენ მოსამსახურეების საქმეს, რადგან „ევკოგრუზის“ ცენტრალურ გამგეობის განკარგულებით შეწყვეტილი იქნა ყველაზე კოოპერატივიდან საქონლის ნისიათ გაცემა მანამდის, სანამ არ იქნება გადახდილი წარსული ამხანაგების მიერ თანგაყოლილი ვალები. სამნეო ნაწილის უფროსო! მეტი ყურადღება კოოპერატივს—მიიღეთ სათანადო ზომები ამ დაუდევრობის გამოსასწორებლად და მით მიეცით ლეგიონის უფ-პოლიტშემადგენლობას საშუალება ჩვეულებრივად განაგრძონ კოოპერატივიდან სარგებლობა.

სამხკორი ანაშვილი.

## საჭიროა ყურადღება.

(სამხ. პოლიტ. სკოლა).

ჩვენ სკოლაში მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს, კურსანტები მეტათ ენერგიულათ კიდებენ ხელს მიცემულ გაკვეთილების თუ ამოცანების მომზადებას. მაგრამ აღსანიშნავია ერთი გარემოება—სახელდობრ ის, რომ თითქმის არც ერთ საგანში არ არის საჭირო სახელმძღვანელოები. კურსანტები თითეულ საგანს ლექტორისგან მოცემულ კონსპექტით იწერენ, ან თითონ აღგენენ ასეთსა და მთელი დრო, გაკვეთილებს შემდეგ გადაწერას უნდება. ხშირათ ისეთი საგნების კონსპექტის წერა უხდება კურსანტს, რომლების შესახებაც ქართულ ენაზე მშვენიერი სახელმძღვანელოები მოიპოვება, ყოველ შემთხვევაში ისეთები მაინც, რომლებიც მათ გაუადვილებენ გაკვეთილის შესწავლას და გამოადგებიან როგორც ლექციების სახელმძღვანელო.

სკოლას არ აქვს თანხა წიგნები შეიძინოს, არც ბიბლიოთეკაში მოიძებნებიან ასეთები საკმარ რაოდენობით და ამიტომ საჭიროა გადებულ იქნეს სათანადო ორგანოს მიერ თანხა, რომლითაც სამოსწავლო ნაწილი შეიძენს საჭირო წიგნებს, გადაცემს ბიბლიოთეკასა და აქედან დარიგდება კურსანტებზე, ცხადია დროებით სახელმძღვანელოთ—საგნების გათავებამდე.

წინაადმდეგ შემთხვევაში იმ დიდ ენერგიის მაგივრათ, რომელსაც ხარჯავენ ჩვენი ლექტორები და კურსანტები—შედეგს შედარებინ ნაკლებს მივიღებთ...

სკოლას აკლია სახელმძღვანელოების გარდა სხვა წიგნებიც, რომლებიც უხვათაა ბაზარზე და ჩვენ კი არ მოგვეპოვება!

საჭიროა ყურადღების მიქცევა ამაზე და რაიმე თანხის გადადება...

**გრ. შავგულიძე.**

## უცხოეთის ავიაცია.

**ინგლისი მიისწრაფვის საჰაერო ძლიერებისაკენ.**

ინგლისის სამხედრო პოლიტიკა ამ უკანასკნელ ხანებში ძირეულად შეიცვალა. ინგლისმა უარყო უძლიერესი საზღვაო ფლოტის პრინციპი, და დაიწყო სამზადისი, რათა შექმნას უძლიერესი მთელი ევროპის საჰაერო ფლოტის თანასწორი საკუთარი სამხედრო ფლოტი ამის გამო ყოველ წლიურად იზრდება ინგლისის საჰაერო ბიუჯეტი სამხედრო და საზღვაო ბიუჯეტების ხარჯზე. მაგალითად 1921-22 წ. საჰაერო ბიუჯეტი შეადგენდა 7,7 პროც. მთელი სამხედრო ბიუჯეტისა; 1922-23 წ.—11.1 პროც.; 1923-24 წ.—17 პროც., ხოლო 24-25 წ. კი 18,5 პროც. ეს აიხსნება სამხედრო საჰაერო ფლოტისთვის დიდი მნიშვნელობის მიცემით ინგლისის სამხედრო სპეციების მიერ და საფრანგეთისა და ამერიკის სამხედრო საჰაერო ფლოტის გაძლიერების გამო.

**იტალიის საჰაერო ძალები.**

ამ ჟამად იტალიას აყვს თავის განკარგულებაში 82 საჰაერო ესკადრილია, რომელშიც ითვლება 882 ჰაეროპლანი. თუ ამას მიუმატებთ მარქაფში და იტალიის სხვა და სხვა ჰაეროპლანების ქარხნებში შესაკეთებლად მყოფ ჰაეროპლანებს, მუსოლინის სიტყვით იტალიის განკარგულებაში ყოფილა 2.166 ჰაეროპლანი.

იტალიის პარლამენტის საბიუჯეტო კომისიამ უკვე შემუშავა საავიაციო მშენებლობის გეგმა ხუთი წლის განმავლობაში. რომლის შესრულების შემდეგ იტალიას ეყოლება 180 ესკადრილია, 6 დირიჟაბლი და 8 ჰაეროსატი მუსოლინმა აღნიშნა, რომ იტალიაში აპარატები თავისი ღირსებით სრულიად არ ჩამოუვარდებიან უცხოეთის აპარატებს. დღისით ყუმბარ მსროლელი ჰაეროპლანების აღმშენებლობაში, იტალია სხვა სახელმწიფოებზე წინაც სდგასო.

უკვე არსებულ ამჟამად შედგენის პერიოდში მყოფი ესკადრილიების რიცხვიდან, 60 ესკადრილია გადაეცემა ხმელეთის არმიას, 18 საზღვაო ფლოტს და 12 ესკადრილია კი განაწილდება იტალიის სხვა და სხვა კოლონიებს შორის.

## ახალი ამბები.

— **შეერთებული სკოლის 4 წლის თავი.** 21 ივნისს გადახდილ იქნება ქართ. შეერთ. კურსანტთა სკოლის 4 წლის არსებობის თავის დღესასწაული.

— **ქარხნების აგება.** საქ. უმაღლ. სამეურნეო საბჭომ გადასწყვიტა აგოს აბრეშუმის პარკის თესლის და სხვა და სხვა ქსოველების დასამზადებელი სამი ქარხანა, 2 დასავლეთ საქართველოში და 1 აღმოსავლეთ საქართველოში.

— **თამბაქოს წარმოების გასაღება.** უმაღლეს სამეურნეო საბჭოს განზრახვა აქვს მოაწყოს თამბაქოს გასაღების საქმე ჩრდილო კავკასიისა და თურქესტანში.

**მანქანების გამოწერა.** ხეტყის სახერხ ქარხნების მოსაწყობათ უმაღ. სამ. საბჭომ საზღვარ გარეთიდან გამოიწერა ახალი ტიპის მანქანები.

**ტყიბულის ქვა-ნახშირი.**

მიმდინარე წლის განმავლობაში ტყიბულის მაღაროებიდან ამოღებულ იქნება 4 მილიონ რვასი ათასი ფუთი ქვა-ნახშირი.

— **მეფუტკრეობა.** წარმოკავშირმა გადასწყვიტა მეფუტკრეობის საქმე საქართველოში მოაწყოს ევროპიულათ და ამ მიზნით შეიძინოს ევროპაში საჭირო ხელსაწყო მანქანები.

— **კავკასიის პოლიტიკური და ადმინისტრატიული რუქა** გამოვიდა და იყიდება. გამოცემა საქართვ. გეოგრაფიული საზოგადოებისა.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა ეგნატე გაბლიანის წიგნი „ძველი და ახალი სვანეთი.“ გამოცემა სახელმ. გამომცემლობისა.

## მეცნიერება და ტექნიკა

**მომავალი ადამიანი.**

ინგლისის ერთ-ერთი გამოჩენილი ანატომი და ანტროპოლოგი პროფ. არტურ კეიტი, უარყოფს იმ გავრცელებულ შეხედულებას, რომ მომავალი ადამიანი, დაივწყებს რა თავის ყველა ფიზიკურ ინსტიქტებს, გადაიქცევა მხოლოდ მოაზროვნე მანქანად. მას არა სწამს კაცობრიობის ბრწყინვალე მომავალი, მისი ბუნებრივი-ცხოველური რაობის გარეშე. მომავლის ადამიანი არ შეიძლება იქნეს მხოლოდ და მხოლოდ ინტელექტუალური არსება. ის ძლიერი იქნება ფიზიკურად და შეინარჩუნებს თავისი ბუნებრივი ინსტიქტების უმრავლესობას. თავის შეხედულებას პროფესორი მეჭერმეტყველურად ასაბუთებს მეცნიერულად აუარება ფაქტების მოყვანით.

**მზეზე უფრო ცხელი.**

ამ უკანასკნელ ხანებში მეცნიერებამ შესძლო ხელოვნურად ისეთი სიცხის შექმნა, რომელიც თავის სიმწვავით არა თუ უთანასწორებდა მზის ზედაპირზე არსებულ სიცხეს, არამედ 2000 გრადუსითაც აღემატება მას.

ეს ტემპერატურა აღწევს 8000 გრადუსამდე ცელსიით. მისი მიღება შესძლო გერმანელ ფიზიკოსმა ლუმერინ ვოლტის რკალში განსაკუთრებული პირობებში.

ვოლტის რკალის ჩვეულებრივი ტემპერატურა აღწევს 4000 გრადუსამდე ე. ი. 2000 გრადუსით უფრო ძირს არის მზის ზედაფენების ტემპერატურაზე. მაგრამ რადგანაც ეს სიცხე მიიღება შეკუმშულ ჰაერის ატმოსფერაში, ცხადია ეს ტემპერატურა მით უფრო გაიზრდება, რაც უფრო შეიკუმშება ჰაერი.

40 ატმოსფერის წნევის დროს ვოლტის რკალში მიღებული იქნა 8000 გრადუსი სიცხე ცელსიით.

ასეთი სიცხის დროს სანადუოურის ნახშირის ჯოხებს ეჩხენევათ დნობა. სიცხის ასეთი ხარისხი უმაღლესია, რომელიც შესძლებია მიეღო დღემდე კაცობრიობას ხელოვნურად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ერთმა ამერიკელმა ფიზიკოსმა ელექტრო ნაპერწკლის გაელვების დროს შეამჩნია ტემპერატურის 0.000 გრადუსამდე აწევა, ისიც



თვალის დახამხამების განმავლობაში.

**ელექტრონების სიდიდე.**

ამას წინად ლონდონში პროფესორ როზენტალმა წაიკითხა პოპულარული ლექციები ელექტრონების და ატომების სიდიდის შესახებ.

როგორც ვიცით თითეული ნივთიერება შესდგება პატარა ნაწილაკებისაგან, რომლებსაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ. მათი დანახვა ისიც და ზოგიერთების მხოლოდ გამადიდებელი შუშით შეიძლება. უმცირესი ნაწილაკია ნივთიერების მოლეკულა, მისი შემადგენელი ნაწილი ე. ი. კიდევ უფრო მცირე ატომი, ხოლო ატომი კიდევ შესდგება პატარა ნაწილაკებისაგან, რომლებსაც ელექტრონებს უწოდებენ.

რომ წარმოდგენა ვიქონიოთ მათი სიდიდის შესახებ, მომყავს ცნობები: ასი მილიონი ატომი რომ დავაწყოთ სიგრძეზე მივიღებთ 2 ნახევარ სანტიმეტრის სიგრძე ხაზს; მოლეკულა, რომელიც შესდგება ორი ატომისაგან იკავებს უფრო დიდ მანძილს ატომზე. 60 ათასი ელექტრონს თუ მივაწყობთ სიგრძეზე ერთმანეთზე მივიღებთ მხოლოდ ერთ ატომს.

ასე მცირე არიან ეს პაწია ნაწილაკები, რომლისგან შესდგება ჩვენი და ყველა საგნის სხეულები.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. იაკობიძეს.** ხშირათ მოგვაწოდეთ კორესპონდენციები თქვენი ნაწილის ცხოვრებიდან.

**პირველი დივიზიის პოლიტგანყოფილებას.** თქვენ მიერ გადმოგზავნილ მიმართვაზე № 1079 უკვე მიღებულია ზომები.

**ამხ. შ. კვინიკაძეს.** თქვენი წერილი „პირველმა ლეგიონმა გაიმარჯვა“, არ გავა. ასეთი ხასიათის წერილი ერთხელ უკვე დაბეჭდეს.

**ამხ. ვარსკვლავს.** კორესპონდენცია „საჭიროა ძველი ნივთების განახლება“ არ გამოდგა.

**ამხ. ლომს.** „საჭიროა სისუფთავის დაცვა“ არ გავ. ასეთი იყო.

**ამხ. კურცხალიას.** თქვენი კორესპონდენცია „უყურადღებო წითელ არმიელები“ არ გამოდგა. არ დაიბეჭდება.

## ვის აქვს საწინააღმდეგო.

1-ლ. ქ. მ. ლეგიონის 1-ლ ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში კანდიდატებად მიღების შესახებ ქვემოთ ჩამოთვლილ ამხნაგებს რომელთა შესახებ თუ ვინმეს მოეპოვებათ რაიმე საწინააღმდეგო მათი პარტიაში მიღების შესახებ ვთხოვთ გვაცნობოს შემდეგი მისამართით; 1-ლი ლეგიონის ბანაკი 1-ლი ასეულის კომუჯრედში.

1. ღვინერია ვლადიმერ 2. რესიშვილი ივანე ალექსისძე 3. ბაგანაშვილი ბაგრატ ქიტასძე 4. ჭიჭინაძე ფოკა იოსებისძე 5. ავაქოვი მიხეილ ივანესძე, ოცის თავი ა. ლ. კ. კ. წევრი.

გარდა უკანასკნელისა ეს ამხანაგები ყველა უპარტიოა

1-ლ. ასეულის კომუჯრედის

ბ. მ. მდივანი: **შ. კვინიკაძე.**

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

## განცხადებები

1-ლ. ქ. მ. დ. პარტკომისია ამით აცხადებს ყველა ნაწილების საყურადღებოთ, რომ პარტკომისია ა. წლ. 22 ივნისიდან გადავიდა ქ. სურამში და დარჩება ბანაკობის დამთავრებამდე. ყოველივე მიწერ მოწერა იწარმოებს აღნიშნულ ადგილზე.

**1-ლ. ქ. მ. დ. პარტკომისია.**

1—3.

**დავკარგე** ფარმაცევტობის წოდებაზე ჩაბარებული მოწმობა მოცემული ქ. ქუთაისში, ანასტასია გერასიმეს ასულის კუბალაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.